გარეჯის მცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(199) 2019 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 1 ლარი

პარლამენტმა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მთავრობას ნდობა გამოუცხადა

98 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, ნდობა გამოუცხადა.

საკანონმდებლო ორგანოს ნდობა მოიპოვა ასევე 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამამ.

მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში ორი ახალი მინისტრია. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ვახტანგ გომელაურმა დაიკავა, ხოლო თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახდა.

16 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი იწყება

გილოცავთ!

ახალ – 2019-2020 სასწავლო წლის პირველ დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის მოსწავლეებს სრულიად შეცვლილი ინფრასტრუქტურა დახვდებათ სკოლაში. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იცვალა სახე სასკოლო შენობებმა. მათი ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს უფრო მიუახლოვდა. მომავალშიც ბევრ საჯარო სკოლის შენობას შეეცვლება იერ-სახე.

ასევე, სრულიად განსხვავებული სახე მიიღო ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა. ახალი შენობა აშენდა კოჭბანის თემის პატარებისათვის, სადაც ახალმოსახლეობას სწორედ ახლა – 16 სექტემბერს იზეიმებენ.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა იერ-სახის მოწესრიგებასა და სასწავლო გარემოს თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს მათი სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნებისათვის, სათანადო აუდიო-ვიდეო აპარატურით აღჭურვის, პედაგოგთა კვალიფიკაციისა და მათი მოტივაციის ასამაღლებლად ხელფასების გაზრდის კუთხით. როგორც ყოველთვის, წელსაც ყველა პირველკლასელი მიიღებს მთავრობის საჩუქარს – უფასო ნეტბუკებსა და სახელმძღვანელოებს.

უფასო სახელმძღვანელოებით მომარაგდებიან სხვა კლასების მოსწავლეებიც.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობას, მათ პედაგოგებს ვულოცავთ 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ წარმატებასა და წინსვლას ცოდნის საფუძვლების დაუფლებაში და გპირდებით, რომ ყოველთვის ერთგულად ვიდგებით თქვენს შემწედ და დამხმარედ, რადგან თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე – მომავალი.

წარმატებებით და გამარჯვებებით გევლოთ თქვენი ცხოვრების გზა-ბილიკებზე.

გიორგი ერგოლონაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი;
ოთარ ჩალათაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
რომან მუჩიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან

საჯარო სკოლებში

ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის რეჟიმში

***16 სექტემბრიდან** ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ახალი სასწავლო პროცესი იწყება. იმის შესახებ, თუ რა კეთდება და როგორი მზადყოფნით ხვდებიან სწავლის დაწყებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, გვესაუბრება საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ქალბატონი* **მანანა ცუცქირიძე.**

– როგორც ცნობილია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-განათლების სამსახურში 26 საჯარო სკოლაა, საიდანაც 4 აზერბაიჯანულენოვანი სასწავლო დაწესებულებაა. ალბათ უკვე დაკონკრეტებული იქნება ახალ სასწავლო წელს რამდენი მოსწავლე შეადებს ამ სკოლების კარებს და რამდენი მასწავლებელი დახვდება მათ ადგილებზე სწავლა-განათლების მისაღებად?

– რა თქმა უნდა, ეს ციფრები უკვე დაკონკრეტებულია. სულ წელს ჩვენს საჯარო სკოლებს ეყოლება 7383 აღსაზრდელი, რომელთა სწავლა-განათლების მიღებას მოემსახურება 816 პედაგოგი, აქედან 580 პრაქტიკოსი, 9 წამყვანი, დანარჩენი კი სხვა სტატუსის მქონე მასწავლებელი.

– პრაქტიკოსი პედაგოგები ახსენეთ და ალბათ იმასაც „გაგვიმხელთ“ რამდენმა, უკვე ყოფილმა საპენსიო ასაკის პრაქტიკოსმა პედაგოგმა მიმართა განცხადებებით სკოლის დირექციებს დაწესებული ჯილდოს – ორი წლის გასამრჯელოს მიღების თაობაზე?

– სულ მთლიანობაში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯერ-ჯერობით საპენსიო ასაკის 85 მასწავლებელია, რომელთაც ამგვარი განცხადებებით მიმართეს სკოლების დირექციებს და გააფორმეს მათთან სათანადო ხელშეკრულება ამ ჯილდოს მიღების თაობაზე.

– და როდის მოხდება მათთვის ამ ჯილდოების გადაცემა?

– ამ ჯილდოებს ისინი მიიღებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ხელზე ასაღები ორი წლის ხელფასის ოდენობით.

– როგორ ხდება და პრობლემები ხომ არ არის ამ გამონთავისუფლებული პედაგოგების ვაკანსიების დაკავების საქმეში?

– ამ ვაკანსიების შევსება ხდება საჯარო სკოლების მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის წესით და წასული პენსიონერი პრაქტიკოსი მასწავლებლების ადგილის შევსება ხდება უფრო მაღალკვალიფიციური კადრებით.

– რამდენი პირველკლასელი ეყოლებათ წელს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებს და თუ გატარდება ღონისძიებები მათი სასკოლო სახელმძღვანელობით და

დასასრული მე-5 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 აგვისტო, 2019წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. საკრებულოს 37 დეპუტატიდან სხდომას 28 დეპუტატი ესწრებოდა. სხდომაზე მოწვეული იყვნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** გიორგი ერბოწონაშვილი, მისი ***მოადგილეები*** **ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე**, მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსები.

სხდომაზე დღის წესრიგის კენჭისყრის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I-II კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა*** **მარინა თედიაშვილმა.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში რიგით მეხუთე ანუ 2019 წლის 24 მაისის №6 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მ.წ. 1 ივლისისთვის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 21 545,966 ლარით, ანუ დამტკიცებულ 12 200,600 ლართან შედარებით 9345,366 ლარით გაიზარდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 7128,013 ლარი, მათ შორის:

1) წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 990,646 ლარი და შესაბამისად გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცა და ექსპლოატაციის ხარჯები 171,042 ლარით;

წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯები 2,693 ლარით;

გარე-განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებიის ხარჯები 40,245 ლარით;

სპორტული მოედნების მოწყობა– რეაბილიტაციის ხარჯები 335,183 ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია 437,647ლარით;

კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები 3,836 ლარით;

2) 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის № 2577 განკარგულებით და ამავე განკარგულებაში მიმდინარე წლის. 24 იანვრის № 63, 19 თებერვლის № 315, 12 მარტის № 472 ,5 აპრილის 788 განკარგულებებით შესული ცვლილებებით სულ გამოიყო 4686,237 ლარი,

აქედან 3543,327 ლარი გამოიყო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე, მათ შორის ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის თვალწმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები 294,500 ლარი;

სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 198,702 ლარი;

მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 250,192 ლარი;

სოფელ მანავში ე.წ. „ტურის უბანში“ ასფალტ- ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები 600,647 ლარი;

სოფელ ხაშმში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტების და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები 721,630 ლარი;

ქ.საგარეჯოში, გ.ქურდიანის ქუჩაზე „ღვთისმშობლის“ მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება 237,652 ლარი;

შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. “წიფლისხევის“ მიმდებარედ გზის მოასფალტება 371,307 ლარი;

თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა, მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები 871,607 ლარი;

1 140, 000 ლარი გამოიყო სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის II ეტაპის სამუშაოებისთვის და შესაბამისად გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯები;

3) „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის 22 იანვრის 45 განკარგულებით და ამავე განკარგულებაში შესული ცვლილებებით მიმდინარე წლის 8 თებერვლის №208 განკარგულებით სულ გამოიყო 658,000 ლარი;

4) 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ და ამავე განკარგულებაში შესული ცვლილებებით მ.წ. 8 თებერვლის №207 განკარგულებით გამოიყო მიზნობრივი ტრანსფერი სულ 793,130 ლარი,

მათ შორის:

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 730,000 ლარი,

ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 63,130 ლარი და გაიზარდა

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯები;

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე დაემატა წინა წლის ნაშთიდან 2217,353 ლარი და შესაბამისად გაიზარდა ხარჯები

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის 1551,369 ლარით;

2) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის 101,512 ლარით;

3) გარე განათების რეაბილიტაციის 6,303 ლარით;

4) სანიაღვრე არხების აღდგენის 29,060 ლარით;

5) სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის 96,179 ლარით; 6) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების 80,596 ლარით;

7) სკოლამდელი დაწესებულებების 275,111 ლარით;

8) მერიის 77,223 ლარით. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 3265,368 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის 1 ივლისისთვის 1741,316 ლარს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 81 %–ით (გეგმა 8801,531 ლარი, ფაქტი 7129.949 ლარი).

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულია 7127.508 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8731,531 ლარი) 82 % შეადგენს.

1) გადასახდების სახით შემოსულია 5260.069 ლარი, გეგმის 4620.085 ლარის 114 %, აქედან ა)ქონების გადასახადი შეადგენს 1651.188 ლარს,გეგმის 639,540 ლარის 258 %; მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) 1395,970 ლარი, გეგმის 410,000 ლარის 340 %; უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) 98,726 ლარი; სახ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

3 სექტემბერი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები*** **ლექსო გილაშვილი, შოთა კაკაბაძე,** მერიის სამსახურების, განყოფილებათა უფროსები, მერის წარმომადგენლები თემებსა და სოფლებში ესწრებოდნენ. თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი** უძღვებოდა.

თათბირის დაწყებამდე სოფელ სათაფლეში მერის წარმომადგენელმა ემზარ გორგილაძემ წინადადებით მიმართა თათბირის მონაწილეთ: – ყველასთვის ცნობილია, რომ სოფელი უდაბნო საქართველოს საზღვრისპირა დასახლებაა, სადაც მძიმე კლიმატურ პირობებთან ერთად ბევრ სიძნელეებთან უწევთ იქაურებს გამკლავება. მართალია, სოფელში გამრჯე, მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ არის ხელმოკლე ოჯახებიც, რომლებსაც ხელის შეშველება სჭირდებათ. არ იქნება ურიგო, თანხა შევაგროვოთ და საჭიროებისდა მიხედვით ჩვენც დავეხმაროთ.

აღნიშნულ წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი.

თათბირზე დღის წესრიგის პირველ საკითხად მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა და მშენებელთა მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი იქცა.

როგორც გაირკვა, 12 საჯარო სკოლიდან სარეაბილიტაციო სამუშაოები 3 სექტემბრისთვის დასრულებული იყო 5 საჯარო სკოლაში. იქ მოსაწესრიგებელი რჩებოდა მხოლოდ ეზოები. 3 სექტემბრისათვის დასრულებული იყო ნინოწმინდის, ჩაილურის, უდაბნოს, უჯარმისა და გომბორის საჯარო სკოლების შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოები. არ იყო დასრულებული: ხაშმის, თოხლიაურის, მანავის საჯარო სკოლების შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გიორგი ერბოწონაშვილის განცხადებით, არც ერთი სკოლის შენობა, ეზო არ უნდა დარჩეს მოუწესრიგებელი. მერის წარმომადგენლებს მიეცათ დავალება – პირადად შეამოწმონ მშენებელთა მიერ შესრულებული სამუშაოები. ყველა სამუშაო ხარისხიანად უნდა იქნას შესრულებული, რადგან სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლების შენობათა მოსაწესრიგებლად და სარეაბილიტაციოდ საკმაოდ დიდ თანხებს გაიღებს. ამასთან, ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი ის პროექტები, რომლებიც პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ საშუალებით ხორციელდება. ის,რის გაკეთებასაც სოფლების მოსახლეობას შეჰპირდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და პირადად მუნიციპალიტეტის მერი, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

საუბარი შეეხო დიდი ჩაილურის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების მდგომარეობას. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ სასმელი წყლის მარეგულირებლებმა უნდა შეძლონ და სასმელი წყალი გრაფიკით, შეუფერხებლად მიაწოდონ მოსახლეობას.

თათბირზე დაწვრილებით იქნა განხილული თითოეულ სოფელში მოსაგვარებელი საკითხები და კონკრეტული დავალებები მიეცათ შპს „საგარეჯოს“ და აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ხარისხის კვლევითი ცენტრის“ დირექტორებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სოფლის მეურნეობა როცა რწყვა დამთავრდა

მინდვრის მშრომელთა გვერდით, მინდვრის მშრომელთა იმედად

მიმდინარე *წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს მელიორაციის ქვემო სამგორის სერვის-ცენტრმა (უფროსი ვახტანგ კეკელიძე) ბენეფიციარებისთვის სარწყავი წყლის მიწოდება შეწყვიტა. ეს პროცესი ევროსპირეთში ნალექების მოსვლასაც დაემთხვა და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მიმდინარე წელს რწყვის სეზონი დასრულდა. არ შევცდებით თუ ვიტყვით იმასაც, რომ ამ სამსახურის მუშაკებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა ერთგულად დადგომოდნენ მხარში ჩვენს მინდვრის მშრომელებს წლევანდელი არნახული გვალვების წინააღმდეგ ბრძოლისა და წლის მოსავლის მიღება-გადარჩენის საქმეში, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული. ყოველ შემთხვევაში, წელს ივრის სარწყავი წყლის მიწოდებაში ნაკლებობა არ ყოფილა, რაც სიონში საკმაო რესურსების არსებობით აიხსნება, თორემ უამისოდ, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა დაემართებოდა ჩვენი გლეხკაცობისა თუ ფერმერების ნაშრომს.*

– მაინც რამდენ წყალმოსარგებლეს გაუწიეთ მომსახურება, რამდენი ჰექტარი მიწა გასარწყავდა და ამით მათზე განთავსებული კულტურების მოსავალი იხსენით განადგურებისაგან წელს მუნიციპალიტეტში? – პირველი კითხვით მივმართეთ სარწყავი წყლის მიწოდების შეწყვეტის მომდევნო დღეს ამ საკითხების გასარკვევად სერვის ცენტრის მთავარ ინჟინერს დიმიტრი მჭედლიშვილს.

– წელს მთლიანობაში, – *გვითხრა მან,* – საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სერვის-ცენტრის მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხების, ხაშმი-პატარძეულის ლოკალური ქსელისა და ბადიაურის „ბებერა არხის“ მეშვეობით მომსახურება გაეწია 3222 ბენეფიციარს, რომელთაც სარწყავი წყალი მიეწოდათ 76670.36 ჰა ფართობის მოსარწყავად. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მორწყვის ჯერადობაში რაიმე შეზღუდვები არ ყოფილა და ზოგიერთმა ბენეფიციარმა 2-3-ჯერაც კი მორწყა ნაკვეთები, სავარაუდოდ, ეს ციფრი 15-16 ათას ჰექტარს შუა მერყეობს. ამას გარდა, ჩვენი რაიონის შვიდ მეთევზე-ბენეფიციარს წყალს ვაწვდიდით საერთო ჯამში 28 ჰექტარი სატბორისათვის, ასევე მომსახურებას ვუწევდით მეზობელი – კაჭრეთის ზონის მოსახლეობასაც. და ეს ყველაფერი იმის შედეგად მოხდა, რომ სიონის წყალსაცავიდან დროულად ვიღებდით საჭირო რაოდენობის წყალს, თორემ სარწყავი წყლის ნაკლებობის შემთხვევაში ძალზე გაგვიჭირდებოდა მუშაობა ჩვენც და რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცები და ფერმერებიც დაზარალდებოდნენ.

– წელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეკორდული ფართობი მოირწყა მუნიციპალიტეტში, რაც გარკვეულწილად საირიგაციო ნაგებობებზე ჩატარებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დამსახურებაცაა. თუ შეძელით წელს ვერხვიანის სატუმბი სადგურის ამოქმედება და რწყვის საქმეში ჩაყენება?

– სამწუხაროდ, რწყვის ამ სეზონზე ამ სატუმბი სადგურის კაკაბეთის და ვერხვიანის მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება ვერ მოხერხდა ელექტრომომარაგებისა და ზოგიერთი სხვა პრობლემის გამო. რაც შეეხება სადგურის ტექნიკურ გამართულობას, იგი სრულ წესრიგშია მოყვანილი და რომ არა ზემოხსენებული პრობლემები, შესაძლო იყო მისი წელსვე ამოქმედება. სამაგიეროდ, ჩვენს კომპანიასთან შექმნილ სათანადო სამსახურს გაქირავებაში ჰქონდა გადასატანი სატუმბი სადგურები, რომელთა მეშვეობითაც მოირწყა წყალმოსარგებლე ბენეფიციარების ათეულობით ჰექტარი მიწა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ ეს მომსახურება ჩვეულებრივთან შედარებით ძვირი დაუჯდათ.

– ბატონო დიმიტრი, მოდით ჩვენს მკითხველს გავაცნოთ ის ადამიანებიც, რომლებიც რწყვის სეზონის ამ რთულ პერიოდში მომსახურებას უწევდნენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად ედგნენ მათ მხარში წლევანდელი გვალვების შედეგების დაძლევის საქმეში.

– ესენი არიან მარჯვენა მაგისტრალური არხის უფროსი ვანო ანუაშვილი, უბნის უფროსები ნუგზარ ასრათაშვილი, მალხაზ ალექსაშვილი, ვალეჰ ჯამალოვი, მარეგულირებლები: ოთარ დარისპანაშვილი, თეიმურაზ სულიკაშვილი, სოიფადინ გასანოვი; მარცხენა მაგისტრალურ არხზე – არხის უფროსი მირიან თედიაშვილი, უბნის უფროსები: ზურაბ შაქარაშვილი, კობა სონიშვილი, მარეგულირებლები: გივი ჩალათაშვილი, გიორგი ოთიაშვილი, ქიტა გიგოშვილი, იოსებ ნუკრაძე, გოჩა ხუროშვილი, ხაშმი-პატარძეულის ლოკალურ ქსელზე მარეგულირებელი – ლალი პარუნაშვილი და სხვები.

– დამთავრდა რწყვის სეზონი, რაც იმის მომასწავებელია, რომ იწყებთ მომავალი სეზონისთვის მზადებას. კერძოდ, რა გაკეთდება ჩვენს მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემების მოწესრიგებისა და ხალხის სამსახურში უკეთ ჩაყენებისათვის?

– ამ სამუშაოების ნაწილი უკვე დაწყებულია და წელსვე დამთავრდება, ნაწილი კი მომავალ წელს განხორციელდება. კერძოდ, აღნიშნული სახის სამუშაოები დაწყებულია და მიმდინარეობს. მარცხენა მაგისტრალური არხის მანავი-ყანდაურის მონაკვეთზე არსებულ 22-ე გამანაწილებელს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ეს არის შიდა სამეურნეო ქსელი, საიდანაც წყალი მიეწოდება და ირწყვება სოფელ მანავის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის ნახევარი, მათ შორის ე.წ. ზეიანის ფართობები, ვიდრე ძველ შარამდე.

გეგმაშია ამავე მაგისტრალური არხის მე-12 გამანაწილებლისა და მათზე ჩამოკიდებული შიდა ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც იწყება სოფელ თოხლიაურის შესასვლელთან და გრძელდება სოფელ მანავის რკინიგზის ხაზზე გადასასვლელთან. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩატარდა წინასაპროექტო სამუშაოები მარჯვენა მაგისტრალურ არხზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რაც იგივე მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდება.

ამავე არხზე სამშენებლო ორგანიზაცია „მშენებელი-80“ აწარმოებს დამაბოლოებელი გალერეის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც 4420 გრძივ მეტრზე განხორციელდება და ამ წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს – ჩატარდება სხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებიც ამ არხების მოსაწესრიგებლად.

ერთი სიტყვით, ჩვენი სამსახური უკვე შემდგარია მომავალი სეზონისთვის სამზადისს და მჯერა, გაისადაც ჩვეულ რეჟიმში გავუწევთ მომსახურებას ჩვენს წყალმოსარგებლე აბონენტებს.

ესაუბრა *გივი დაგანიშვილი*

ინფრასტრუქტურა-2019

ქ. საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ალექსი გილაშვილმა იმედის ქუჩის საერთო საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის საწყისი-სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე მოინახულა.

მოხდა გამოსაყენებელი ხის მასალის დასაწყობება და დამუშავება, ხვალიდან აქტიურად გაგრძელდება გადახურვის სამუშაოები.

დიდ ჩაილურში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში, ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოპირკეთება-მოსწორების სამუშაოები განხორციელდა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა-გიორგი ერბოწონაშვილმა ყველა პრობლემა პირადად ჩაინიშნა და თანამშრომლებს მათი გადაჭრის გზებზე მუშაობისა და დაუყოვნებლივ რეაგირებისკენ მოუწოდა.



დიდ და პატარა ჩაილურში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროს ივანე ფანოზიშვილთან და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელ ბექა ფეიქრიშვილთან ერთად სოფელ - დიდი და პატარა ჩაილურის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მიზანი არსებული პრობლემების ადგილზე გაცნობა და გადაჭრის ამოცანებზე მსჯელობა გახლდათ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, თითოეული მოსახლის პრობლემა ყურადღებით მოისმინა და მერიის წარმომადგენლებს სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდა. დღესვე, დაუყოვნებლივ დაიწყონ ყველა გაჟღერებულ პრობლემაზე მუშაობა, რომელთა მოგვარების გზებს და შედეგებს მუნიციპალიტეტის მერი თავად გააკონტროლებს.

ბატონმა გიორგი ერბოწონაშვილმა სოფელ პატარა ჩაილურში, ათუაშვილების სოციალურად დაუცველი ოჯახი მოინახულა. შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, ათუაშვილების ოჯახის სახლის სახურავის სრული რეაბილიტაციის ხარჯები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდიდან გაიღო. ბატონი მერი ოჯახი წევრებს გაესაუბრა და დახმარება აღუთქვა.

დიდი და პატარა ჩაილურის მოსახლეობამ ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს მადლობა გადაუხადა გულისხმიერებისთვის და მათი პრობლემების პირადად გაცნობისთვის.

ქეთი გრატიაშვილი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 აგვისტო, 2019წ

გაგრძელება

ელმწიფო ხაზინის მიერ გადასახადი ფიზიკურ პირთა ქონებაზე დაკორექტირდა და შემცირდა 401 ლარით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 141,716 ლარი, გეგმის 179,540 ლარის 79 %; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 15,177 ლარი, გეგმის 50,000 ლარის 30 %; ბ)გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებული ღირებულების გადასახადი შემოვიდა 3608,881ლარი, გეგმის 3980,545 ლარის 91 %;

2) გრანტების სახით მიღებულია 1263,902 ლარი, გეგმის 3415,122 ლარის 37 %; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შემოვიდა 168,130 ლარი,აქედან 63,130 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯია; გეგმის 105,000 ლარის 160%; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 1095,772 ლარი, გეგმის 3310,122 ლარის 33 %;

3) სხვა შემოსავლების სახით მობილ ზებულია 603,537 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 696,324 ლარის 87 %-ია, მათ შორის:

1) შემოსავალი პროცენტებიდან 45,451 ლარი (გეგმის 60,000 ლარის 76 %);

2) რენტა 279,307 ლარი (გეგმის 340,924 ლარის 82%); აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 251,141 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 28,166 ლარი;

3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 32,842 ლარი (გეგმის 45,400 ლარის 72 %), აქედან:ა)ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 30,082 ლარი (გეგმის 42,400 ლარის 71%), მ.შ.

ა) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების 800 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 19,021 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე 10,261 ლარი;

ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება(შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან) 2,760 ლარი, (გეგმის 3,000 ლარის 92 %);

4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 245,747ლარი (გეგმის 250,000 ლარის 98 %);

5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 190 ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 2,441 ლარი, რაც გეგმის (70.000 ლარის) 3 %-ია. ეს არის არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან შემოსული თანხა.

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 72%–ით (გეგმა 12235.615 ლარი, ფაქტი 8831.629 ლარი); მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 89%-ით (გეგმა 7603.762 ლარი, ფაქტი 6757.979 ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 88 %-ით (გეგმა 201.036 ლარი, ფაქტი 177.628 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 92 %-ით (გეგმა 105.000 ლარი, ფაქტი 96.612 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერის გეგმა 13.184 ლარი, არ შესრულებულა; სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 42%-ით (გეგმა 4312.633 ლარი, ფაქტი 1799.410 ლარი).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის გადასახდელების გეგმის შესრულების მაჩვენებლები ასეთია:

შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 1049,975 ლარი, გეგმის 1094,894 ლარის 96%; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 1120,778 ლარი, გეგმის 1174,163 ლარის 95%; პროცენტის ხარჯმა შეადგინა 13,937 ლარი, გეგმის 14,100 ლარის 99%; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 2237,809 ლარი, გეგმის 2384,365 ლარის 94%; გრანტები შეადგენს 37,500 ლარს, გეგმის 50,000 ლარის 75%; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 282,230 ლარით, გეგმის 289,823ლარის 97%; სხვა ხარჯები შეადგენს გეგმის 210,624 ლარის 86% ანუ 181,644 ლარს; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა გეგმის 7017,646 ლარის ნაცვლად 3907,756 ლარით ანუ 56 %–ით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება ორ კვარტალში ასეთია: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 1630.188 ლარი, გეგმის 1697.779 ლარის 96 %; მ.შ. საკრებულოს გეგმა 374.875 ლარი, შესრულება 353,936 ლარი, 94 %; მერია გეგმა 1308.804 ლარი, შესრულება 1262.315 ლარი, 96 %; გადახდილია სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების(2 ცალი ნაგავმზიდი, 240 ცალი ნარჩენების კონტეინერი) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხის პროცენტი 13,937 ლარი, გეგმის 14,100 ლარის 99%;

თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა 53.776 ლარი, გეგმის 60.709 ლარის 89%;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაციის ხარჯებმა 4075.465 ლარი, გეგმით გათვალისწინებული 7123.711 ლარის 57%. მათ შორის:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა 1928.407ლარი, გეგმის 3852.849 ლარის 50 %;

2) წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ღონისძიებებს მოხმარდა 459.166 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 50% (გეგმა 912.359 ლარი);

3)ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 114.424 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 85% (გეგმა 138.502 ლარი);

4)გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 441.248 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 91 % (გეგმა 484.285 ლარი);

5) დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსებულია 18.488 ლარით, 32 % (გეგმა 57.485 ლარი);

6) სანიაღვრე არხების აღდგენა 26,766 ლარი, გეგმა 29,060 ლარი, შესრულება 92 %;

7) შ.პ.ს „საგარეჯო“ დაფინანსდა 113.600 ლარით, გეგმის 100 %;

8) შ.პ.ს.”სუფთა მუნიციპალიტეტი 2018” დაფინანსდა 220.651 ლარით, გეგმის 224.526 ლარის 98%.

9) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია გეგმა 455.862 ლარი, შესრულება 350.694 ლარი (77%);

10) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გეგმა 173.393 ლარი, შესრულება 126.267 ლარი (73%).

11) სკვერების, ბაღების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია გეგმა 16,625 ლარი;

12) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 275,754 ლარი, გეგმის 665,165 ლარის 41 %;

განათლების ხარჯები დაფინანსებულია 91 %–ით (გეგმა 1945,768 ლარი, ფაქტი 1766,524 ლარი; მათ შორის:

1) ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინასებულია 97 %–ით (გეგმა 1090,090 ლარი, ფაქტი 1052,659 ლარი);

2) ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლის გარეშე მუშაობის დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 35,257 ლარი, გეგმით გათვალისწინებული 39,190 ლარის 90%;

3) სკოლამდელი დაწესებულებები (შეკეთება, მშენებლობა, რეაბილიტაცია) დაფინანსდა 615,882 ლარით, გეგმა 752,758ლარი, 82%;

4) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 300 ლარი, გეგმის 600 ლარის 50%;

5) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 62,426 ლარი, გეგმის 63,130 ლარის 99 %;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინასებულია 92 %–ით საკუთარი შემოსავლების ჩათვლით(გეგმა 937,355 ლარი, ფაქტი 865,721 ლარი), მათ შორის: 1) ა(ა)იპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა“ დაფინანსდა 25,652 ლარით, მ.შ.საკუთარი შემოსავლებია 5,198 ლარი, გეგმა 36,696 ლარი, შესრულება 70%;

2) ა(ა)იპ ’საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ გეგმა შეადგენდა 193,336 ლარს, დაფინანსებულია166,838ლარი,86%, მ.შ.საკუთარი შემოსავლებია 1,798 ლარი;

3) ა(ა)იპ რაგბის კლუბი“ ვეფხვები“ დაფინანსება 263,9543 ლარი, გეგმა 269,662 ლარი, შესრულება 98%, მ.შ. საკუთარი შემოსავლებია 148,389ლარი;

4)შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ დაფინანსება 28,222 ლარი, გეგმა 32,828 ლარი, შესრულება 86%;

5) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 28,590 ლარი, ფაქტი 25,398 ლარი, 89%;

6) ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ გეგმა 73,212 ლარი, ფაქტი 70,948 ლარი, შესრულება 97%, მ.შ. საკუთარი შემოსავლებია 10,764 ლარი;

7) ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება გეგმა 208,928 ლარი, ფაქტი 200,603 ლარი, შესრულება 96%, მ.შ. საკუთარი შემოსავლებია 7,785 ლარი;

8) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 64,569 ლარი, ფაქტი 57,113 ლარი შესრულება 88%;

9) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა გეგმა 14,600 ლარი ფაქტი 12,058 ლარი, შესრულება 83%;

10) საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა 14,934 ლარით, გეგმის 100%.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 94 %–ით (გეგმა 470,294 ლარი, ფაქტი 439,955ლარი), მათ შორის:

1) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 46,229 ლარით, გეგმა 56,450 ლარი (82%), მ.შ. საკუთარი შემოსავლებია 3,694 ლარი;

2) სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 3,300 ლარით, გეგმის 100%;

3) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა დაფინანსდა 900 ლარით გეგმის 100%;

4) სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაციის ხარჯი შეადგენს 10,632 ლარს (19 ოჯახი), გეგმა 13,750 ლარი შესრულება 77%;

5) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 23,566 ლარით, გეგმა 27,450 ლარი, შესრულება 86 %,

კერძოდ,

სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ 3,643 ლარი,

იორმუღანლოში არსებული 1990 წლის 20 იანვარს და თბილისში 1989 წლის 9 აპრილს ორი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლთა ხსოვნის მემორიალის შესამკობად დაგეგმილი ღონისძიებისათვის გვირგვინების შესყიდვა 100 ლარი;

საახალწლოდ პროდუქტების შეძენა სოც. დაუცველ მოსახლეობისათვის 9,421 ლარი (500 ოჯახი); კახეთის გზატკეცილის №19-ში მცხ. სოც. დაუცველ ოჯახების საერთო საცხოვრებლის მიმდ. საკანალიზაციო ჭის გაწმენდისათვის 1,000 ლარი; საადგომოდ სოც. დაუცვ. მოქალაქეებისთვის პროდუქტის შესყიდვა 9,102 ლარი; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციისათვის წინდების შესყიდვა 300ლარი;

6) უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 240,641ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებული 243,453 ლარის 99 %-ით, კერძოდ, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გაცემულია 22,600 ლარი (გაცემულია 57 ოჯახზე),

სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 142,915 ლარით (297 მოქალაქე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსებამ შეადგინა 47,118 ლარი (300 მოქალაქეზე). დაკრძალვის ხარჯი გაცემულია 6,300 ლარი (20 ოჯახზე);

დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების ხარჯი 9,300 ლარი (21 მოქალაქე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბუნებრივი აირის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვის ხარჯი 2,525 ლარი (64 ოჯახი),

ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვის ხარჯი 3,845 ლარი (106 ოჯახზე),

ელ. ენერგიის მრიცხველის დამონტაჟების ხარჯი 200 ლარი (1 ოჯახი),

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახიდან წარჩინებული სტუდენტის სწავლის დაფინანსების ხარჯი 2,038 ლარი (6 ოჯახზე);

19 ხანდაზმულ მოქალაქეზე გაიცა 3,800ლარი;

7) დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა გეგმა 3,000 ლარი, დაფინანსება 2,400 ლარი,შესრულება 80%, დახმარება გაიცემა 4 ბავშვზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით;

8) ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2,700 ლარით, გეგმის 3,000ლარის 90%, დახმარება გაეწია 9ოჯახს 300 ლარის ოდენობით;

9) მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2, 600 ლარით, შესრულება 100% (13 მარტოხელა დედას 200 ლარის ოდენობით);

10)შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა10,950 ლარით, გეგმის 12,400 ლარის 88% (73 მოზარდი);

11) ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 5,825 ლარით, გეგმის 6, 000 ლარის (97 %);

12) უმწეოთათვის უფასო სასადილო დაფინანსდა 86,612 ლარით, გეგმა 97,000 ლარი შესრულება 89% (220 ბენეფიციარი);

13) ვეტერანთა დახმარების და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 600 ლარით, გეგმის 991 ლარის 61%, 3 ვეტერანს გადაეცათ 9 მაისს ფულადი ჯილდო თითოეულს 200 ლარის ოდენობით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ორი კვარტლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილია 199,466 ლარი,

მათ შორის:

ქ.საგარეჯოში, წერეთლის ქუჩა 52-ში მცხოვრებ ვლადიმერ ქვლივიძის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის (180 მ2) აღდგენის მიზნით 16,450 ლარი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხაშმში, უდაბნოში, პატარძეულსა (ე.წ.“აჭარლები“-ს დასახლება) და კოჭბანში მიმდინარე წლის .20-21 თებერვალს სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენის მიზნით 170,800 ლარი;

ქ.საგარეჯოში მცხ.გიორგი ღოღელიანის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის შეკეთების მიზნით სამშენებლო მასალების და სოფ.პატარა ჩაილურში მცხ. ასმათი ათუაშვილის დაზიანებული საცხ. სახლის სახურავის ახლით შეცვლის სამუშაოებისთვის 12,216 ლარი.

მწვავე ინტერესი მოჰყვა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას ინფრასტრუქტურული პროექტების ათვისების მიმდინარეობაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ კითხვები დასვეს დეპუტატებმა, როგორც პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ ელდარ მეფარიძემ, ვეფხია ჩერქეზიშვილმა, თამაზ ურდულაშვილმა, ელენე სამხთუაშვილმა, ასევე დეპუტატებმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გარსევან ბუხ-

დასასრული მე-5 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

30 აგვისტო, 2019 წ

დასასრული

ნიკაშვილმა და ნიკოლოზ ნაცვლიშვილმა, დეპუტატმა პარტია „ბაქრაძე-უგულავა-ევროპული საქართველოდან“ ამირან სონიშვილმა.

საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურული პროექტების ტენდერზე გატანის პროცესებსა და ჩაშლილი ტენდერების მიზეზებს.

დეპუტატ გარსევან ბუხნიკაშვილის აზრით: – ტენდერები იშლება იმის გამო, რომ არ ღებულობენ მონაწილეობას კვალიფიციური მეწარმეები. ამისთვის მერს უნდა ჰყავდეს იდენტიფიცირებული კვალიფიციური მეწარმეები. დოკუმენტაციაში უნდა იყოს ისეთი მექანიზმი ჩადებული, რომ შემთხვევითი მეწარმეები არ მოხვდნენ ტენდერში. როცა იქნება კვალიფიციურ მეწარმეთა სია, შეგეძლებატ მოწვევა გაუგზავნოთ მათ. მერს უნდა ჰყავდეს სპეციალისტი, რომელიც თავის ხარჯთაღრიცხვებს გააკეთებს კონკრეტულ საქმეზე. ცენტრალური ბიუჯეტიდან 7 მილიონი უნდა დახარჯულიყო ინფრასტრუქტურაზე, აქედან 3 მილიონ 100 ათასი ლარი ვერ ავითვისეთ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის განმარტებით: – „ყველაფერი დაკონტრაქტებულია. საკასო შესრულებები არ მოაქვთ. სექტემბრის ბოლოს – 90% იქნება. შესრულება წლის ბოლოს – 100 პროცენტი იქნება. ეხლა არის 57% 6 თვეში“.

სხდომაზე დეპუტატმა ელენე სამხთუაშვილმა დააყენა საკითხი – საგარეჯოს ყოფილი ბავშვთა რაისაავადმყოფოს შენობების გაყიდვამდე მათი გამიჯვნა მომხდარიყო, ნაწილში შეეყვანათ საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სასმელი წყლის აიპ-ი, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაბამისი ლაბორატორიის გაკეთება შეეძლება.

აღნიშნულ საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ალექსი გილაშვილმა გასცა პასუხი: – შენობა გაშვებულია გამიჯვნაზე.

დეპუტატ ვეფხია ჩერქეზიშვილის აზრით: – საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიას რომ ჰქონდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რასაც მერია ახორციელებს, შეკითხვები აღარ გაჩნდებოდა“. ამასთან მანვე შეახსენათ: – გადახედეთ სოფლის პროგრამის შემსრულებელ მშენებლებს, კვალიფიციური მშენებლები გვიჭიდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს: – საკრებულოს გაუგზავნეთ ყველაფერი ყოველკვირეულად, რასაც ვაკეთებთ.

სხდომის თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა დეპუტატებს შესთავაზა – წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულება შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად. მისი თქმით: – რაც შეეხება შეუსრულებელ მუხლებს, სადაც არის ჩავარდნილი შესრულება, მესამე კვარტლის ბოლოს მერიამ წარმოადგინოს დამატებითი ანგარიში აღნიშნული პუნქტების შესრულებაზე.

საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩა №15-ში მდებარე 2618 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (55.12.59.014) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში არსებული 2 ოთახის, ფართით 32.7 მ², პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 29ორი) წლის ვადით სსიპ იურიდიყული დახმარების სამსახურისთვის გადაცემის შესახებ – მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.

ინფრასტრუქტურა-2019

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე-გივი მეტრეველმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერ-გიორგი ერბოწონაშვილთან, მოადგილებთან-ალექსი გილაშვილთან და შოთა კაკაბაძესთან ერთად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილზე მოინახულეს.

შეხვედრებს სამშენებლო-კონტრაქტორი კომპანიებისა და რეგიონული საინჟინრო-ექსპერტიზისა და მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლაში უკვე დასრულდა სველი წერტილებისა და საპირფარეშოების მოწყობის სამუშაოები.

მონიტორინგი განხორციელდა-სოფელ გომბორში, ხაშმში, ნინოწმინდაში, ქ.საგარეჯოსა და სოფელ უდაბნოში მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. გაიცა რეკომენდაციები, განხილული იქნა შესრულების ვადები და ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისობა.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, 6 სექტემბერს, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკი სოფელ მზისგულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში, მუზეუმის პოპულარიზაციის მიზნით, მოსწავლეებმა მოინახულეს სამუზეუმო ექსპონატები.

ახალგაზრდულ ბანაკში დრო დაეთმო სპორტულ, შემეცნებით და საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებსაც უძღვებოდნენ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების (საგარეჯოს მ. ა. სახლის) ლიდერთა კლუბის წევრები ეთერ ცხვარიაშვილი და მარიამ გაგნიაშვილი.

ღონისძიების ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო ორ აქტიურ ახალგაზრდას - საჩუქრად წიგნი „მსოფლიოს ისტორია“. საჩუქრად წიგნი ასევე გადაეცათ ლიდერ გოგონებს მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“.

ქეთი გრატიაშვილი

საჯარო სკოლები

ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის რეჟიმში

დასასრული

სხვა საჭირო რესურსით მოსამარაგებლად?

– სულ წელს მუნიციპალიტეტში გვეყოლება 690 პირველკლასელი მოსწავლე, ის ვინც პირველად თავის ცხოვრებაში შეაღებს სკოლის კარებს და ჩვენ უკვე ვიზრუნეთ მათი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და აღჭურვისათვის. სკოლებში უკვე შეტანილია ეს წიგნები და კომპიუტერები, რომლებიც მათ სწავლის დაწყებამდე გადაეცემათ. ასევე სათანადო სახელმძღვანელოები გადაეცემათ დანარჩენი სხვა კლასების მოსწავლეებსაც.

– ჩვენი საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მუნიციპალიტეტის 26 საჯარო სკოლიდან ოთხი აზერბაიჯანულენოვანია. რამდენი მოსწავლე დაეუფლება მათში მშობლიურ აზერბაიჯანულთან ერთად სახელმწიფო, ქართულ ენას? მათგან რამდენი ისწავლის ქართულ სექტორზე?

– ახალი სასწავლო წლისათვის ამ სკოლებში აღრიცხულია 3098 მოსწავლე, რომელთაგანაც ქართულ სექტორზე სწავლა-განათლებას შეუერთდება 442 ბავშვი.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლაში დაწყებულია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ რა სტადიაზეა ისინი (ინტერვიუ ჩაწერილია 3 სექტემბერს) და მოესწრება თუ არა მათი სასწავლო პროცესის განახლებამდე დამთავრება?

– ამ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს სველი წერტილების მოწყობასა და მათი სკოლის შენობებში შეტანას. ერთ – ყანდაურის სკოლაში ჩატარდება შენობის გამაგრების სამუშაოები, პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის შენობას გაუკეთდება ახალი გადახურვა. სავარაუდოდ, ყველა ეს სამუშაო სწავლის დაწყებამდე მოესწრება და მოსწავლეებს არანაირი ხელისშემშლელი მიზეზები არ ექნებათ სწავლა-განათლების შესაფერისი სასწავლო გარემო პირობებში მისაღებად.

– სიახლეები, რაც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის დაინერგება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და ხელი უნდა შეუწყონ იქ საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისათვის.

– ამ სიახლეთაგად პირველ რიგში უნდა გამოვყოთ მუნიციპალიტეტის ხუთ – საგარეჯოს II, კაკაბეთის, პატარძეულის, ბადიაურისა და შიბლიანის საჯარო სკოლებში პროექტის „ახალი სკოლის მოდელის“ მიხედვით სწავლების შემოღება. ეს სკოლები აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით და ყოველი საგაკვეთილო პროცესის წარმართვა მოხდება მხოლოდ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც სასიკეთოდ წაადგება ამ სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების დონის ამაღლებას და აქედან შემდგომ სხვა სკოლებშიც ჰპოვებს განხორციელებას. უსათუოდ წაადგება და ახალ სიმაღლეზე აიყვანს საჯარო სკოლების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, უფროსი, მენტორი და წამყვანი მასწავლებლების ხელფასების ზრდა, რაც უფრო მეტად მოტივირებულს ხდის მასწავლებვლის შრომას და რა თქმა უნდა, მათ შრომასაც უფრო მეტი შედეგები ექნება. ხელფასების ეს ზრდა კვლავაც გაგრძელდება და 2020 წლისათვის აღნიშნული კატეგორიის მასწავლებელთა ხელფასები საკმაოდ მაღალი იქნება.

საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები, მათი ხელმძღვანელობით, ადმინისტრაციები და პედაგოგები სათანადო მზადყოფნით ხვდებიან ახალი სასწავლო წლის დადგომას და მჯერა, თავიანთ შესაძლებლობებს არ დაიშურებენ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების თანამედროვე დონეზე წარმართვისათვის.

საგარეჯოს ბიბლიოთეკა 130 წლისაა

გაგრძელება
დასაწყისი იხ №11,12,13-14-ში

არ არსებობს ისეთი ცუდი წიგნი, რომელშიც არ მოიძებნებოდეს რაიმე ჭკუის სასწავლებელი.
მიგელ დე სერვანტეს საავედრა

1907 წელს ბიბლიოთეკის გამგეობამ 250 ლარად შეიძინა საკუთარი შენობა. როგორც ვთქვით, პირველი ხელფასიანი ბიბლიოთეკარი იყო ქეთევან ბედიაშვილი, რომელმაც 8 წელი იმუშავა ბიბლიოთეკარად. მას დამთავრებული ჰქონდა ბოდბის მონასტერთან არსებული კეთილშობილთა სასწავლებელი.

1916 წელს ბიბლიოთეკა მოათავსეს გ. მჭედლიშვილის ბინაში. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში მიმდინარე რთულმა პირობებმა ბიბლიოთეკის მუშაობაზეც იმოქმედა. ბიბლიოთეკის მუშაობა თანდათან დაქვეითდა. გაიფანტა უძვირფასესი წიგნები, ვეღარ იძენდნენ ახალ წიგნებს. აღარ იყო ის ენთუზიაზმიც, რომელიც ბიბლიოთეკის განვითარებისათვის იყო საჭირო.

უძველესი დროიდან წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმის განვითარების დონე ყოველთვის ითვლებოდა ქვეყნის კულტურული სახის მაჩვენებლად. სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა, თანდათან მან კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებაც შეიძინა. „ბიბლიოთეკა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წიგნების საცავს. დროთა განმავლობაში ის შეიცვალა და ცნებამაც სხვაგვარი გაგება მიიღო. როდესაც წარსული საუკუნეების ბიბლიოთეკებზე ვსაუბრობთ, მათი დანიშნულება წიგნების ერთად თავმოყრა იყო, ხოლო დღევანდელი გაგებით ბიბლიოთეკები უფრო საგანმანათლებლო როლს ასრულებენ.

XX საუკუნის 20-იანი წლები საქართველოში დიდი გარდატეხის წლები იყო. ქვეყანაში პოლიტიკურმა ცვლილებებმა საბიბლიოთეკო ცვლილებებიც გამოიწვია. შეიქმნა ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა, მოწესრიგდა საკატალოგო მეურნეობა, კლასიფიკაციის სისტემები, მკითხველთა მომსახურების მოძრავი ფორმები, ამზადებენ საბიბლიოთეკო კადრებს და ა.შ.

საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების გზით არაერთი დადგენილება იყო მიღებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1959 წლის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“.

ციალა ილაური

დადგენილების შესრულებას მკაცრი კონტროლი მოსდევდა. მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ ამ დადგენილების სათაური, რათა თვალსაჩინო გაგვეხადა, თუ რა ყურადღება ექცეოდა ბიბლიოთეკების როლს ხალხის კულტურული და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ასეთმა ყურადღებამ შესაძლებელი გახადა საგარეჯოს რაიონის სოფლებშიც მასიურად გახსნილიყო ბიბლიოთეკები (1892-1995წწ).

საგარეჯოს ბიბლიოთეკის მსგავსად ს. ხაშმშიც 1896 წელს შეიქმნა თეატრის მოყვარულთა წრე. აქედან შემოსული ფულით შეიძინეს წიგნები და დააარსეს დიმიტრი ბაქრაძის სახელობის წიგნთსაცავი. წიგნები შესწირეს ერეკლე ბაქრაძემ, დავით ნახუცრიშვილმა, იოსებ იმედაშვილმა და სხვებმა.

1900 წლის ოქტომბერში გაზეთი „ივერია“ ამცნობდა მკითხველს, რომ 1900 წლის 13 აგვისტოს ხაშმის კლუბში ალ. ნათიშვილის რეჟისორობით დაიდგა ფრ. შილერის „ყაჩაღები“. წარმოდგენას ბევრი მაყურებელი დაესწრო. შემოსავალი მთლიანად ხაშმის ბიბლიოთეკას გადაეცა. დავით ნახუცრიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ მოღვაწეებთან, როგორების იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, თითქმის მთელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა ელიტა.

იოსებ იმედაშვილმა ბიბლიოთეკა მოამარაგა თბილისიდან ჩამოტანილი ერთი ურემი საკუთარი წიგნებით.

1916 წელს ს. ხაშმში საფუძველი ჩაეყარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაშმის განყოფილებას. კრებას ესწრებოდა 47 კაცი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს იოსებ იმედაშვილი, მოადგილედ – ივანე ბაქრაძე. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ ბიბლიოთეკას იმ წლებში განაგებდა ანა გიორგის ასული ქოქრაშვილი.

წლების მანძილზე ხაშმის ბიბლიოთეკა ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა რაიონში. ბიბლიოთეკა აწყობდა შეხვედრებს მოწინავე მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მოწინავე ინტელიგენციასთან. 2003 წელს ბიბლიოთეკამ მოიპოვა გრანტი, რის შემდეგაც ბიბლიოთეკა გარემონტდა, აღიჭურვა კომპიუტერით და სხვა უახლესი ტექნიკით (ბიბლიოთეკარი ნინო ქოქრაშვილი).


თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ბიბლიოთეკა გაიხსნა ს. პატარძეულშიც 1896 წელს პავლე ყუშიტაშვილის თაოსნობით („ივერია“ №12)

ბიბლიოთეკები გაიხსნა: 1918 წელს სოფელ კაკაბეთში, 1930 წელს – სოფელ უჯარმაში, 1935 წელს სოფელ მანავში, 1938 წელს სოფელ გომბორში (რუსულენოვანი), 1895 წელს სოფელ თოხლიაურში... განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 1954 წელს საგარეჯოს გაღმაუბანში გაიხსნა ბიბლიოთეკა №1 საქალაქო ბიბლიოთეკის სახელით ნადია ივანიაშვილის ხელმძღვანელობით, 1956 წელს საგარეჯოს რკინიგზის სადგურის №2 საქალაქო ბიბლიოთეკა ნუნუ ბარბაქაძის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი ღვაწლი საბიბლიოთეკო მუშაობაში. ის უანგაროდ იყო შეყვარებული თავის საქმეზე. დაუზარელი და მუდამ მზადმყოფი მკითხველებთან მუშაობის დროს. მის ხელში მომიწია წიგნთან მუშაობის დაწყება, მან შემაყვარა წიგნთან მუშაობა და საბიბლიოთეკო საქმე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებული მოვლენა იყო საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნა 1948 წელს. ეს ბიბლიოთეკა ძირითადად საბავშვო წიგნებით დაკომპლექტდა. მისი პირველი გამგე კატო გოდერძიშვილი იყო. წლების განმავლობაში აქ მუშაობდნენ: ვენერა ჩაფიძე, ეთერ რევაზიშვილი, ელისო როსტიაშვილი, ზუმრუდ გოდერძიშვილი, ვენერა ჭამიაშვილი, ზანი ხატიაშვილი, ნინო თარიმანიშვილი, მაყვალა კერატიშვილი და სხვები.

ძალიან ძნელია ილაპარაკო საგარეჯოს ყველა სოფლის ბიბლიოთეკის ისტორიაზე. მხოლოდ მოკლედ ვიტყვი, 1970 წლის საგარეჯოში იყო 27 ბიბლიოთეკა 27787 წიგნადი ფონდით. ხოლო 1990 წელს კი 55 ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი კი 35180.

ამ წლებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბიბლიოთეკების გახსნა აზერბაიჯანულ სოფლებში – პალდოში, დუზაგრამაში, თულარში, მუდანლოში, ლამბალოში, ქეშალოში.

როგორც ზემოთ ვთქვით, საბავშვო ბიბლიოთეკა გაიხსნა 1948 წელს. საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაობა თავისებურად განსხვავებულია უფროსი ასაკის მკითხველებთან შედარებით. ბავშვი დაუწერელი, სუფთა ფურცელივითაა, მასთან მუშაობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. იმ წლებში, როცა საბავშვო ბიბლიოთეკა გაიხსნა სარაიონო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად მუშაობდა ციალა იოსების ასული ტიგინაშვილი. ის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა 1948-1949 წლებში, ხოლო კულტურის განყოფილების გამგე იყო ცნობილი ქართველი პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი. ომიდან დაბრუნებულმა პოეტმა დიდი ღვაწლი დასდო ბიბლიოთეკის განვითარებას. ის კულტურის სამსახურს ხელმძღვანელობდა 1946-1951 წლებში. ქვეყანაში რთული პერიოდი იყო და ეს ჩვენს რაიონზეც აისახებოდა.

ქნი ციალა ილაური, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო რაიონის ნოტარიუსი, თავის მოგონებებში წერს:

„ჩემი შრომითი ბიოგრაფია ჯერ საგარეჯოს საბავშვო, შემდეგში კი სარაიონო ბიბლიოთეკაში მუშაობით დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1948 წელს დავუბრუნდი მშობლიურ რაიონს. სამამულო ომის ქარ-ცეცხლიდან ახლადგამოსული ქვეყანა და ხალხი, რაიონის საზოგადოება უკეთესი მომავლის დაგომის იმედით იწყებდა ქვეყნის აღმშენებლობისათვის თავდაუზოგავ შრომას. ჩვენც, ახალგაზრდა სპეციალისტები, უპრეტენზიოდ ვთანხმდებოდით შემოთავაზებულ სამუშაოს. მეც სწორედ ასეთ დროს დავინიშნე საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ, საიდანაც მალევე, სულ რაღაც 2 წელში გადამიყვანეს სარაიონო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში მუშაობის წლები ჩემთვის დარჩა ტკბილ მოგონებად. მე ხომ საშუალება მეძლეოდა მქონოდა ურთიერთობა უშუალოდ ხალხთან და სიახლოვე წიგნთან, წიგნთან, რომელიც ადამიანისათვის ყველაზე ერთგული მეგობარი და დამრიგებელია. ჩვენ ვცდილობდით, რომ საზოგადოების ყველა ფენა ყოფილიყო ჩართული და დაინტერესებული წიგნის კითხვით, რათა წიგნის კითხვით გამოწვეული სიამოვნებისგან, მისით მიღებული სარგებლობისგან, არავინ დარჩენილიყო შორს. მართალაც, როცა ადამიანი წყვეტს წიგნის კითხვას, იგი ფაქტობრივად წყვეტს აზროვნებასაც“.

ლია ურდულაშვილი,
ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი.
გაგრძელება იქნება

<u>უბრალო პროფესიის ადამიანები</u>

თუ გავირჯებით...

საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა. ნახევარ საუკუნეზე მეტია იცნობს მშობლიურ ქალაქს. უყვარს, ვერც წარმოუდგენია სადმე წავიდეს საცხოვრებლად. აქ დედ-მამის, ძმის საფლავებია, მამა-პაპის ფუძე, მამა-პაპისეული ვენახი და უბანი, ქუჩა, რომელსაც ახსოვს მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა, მისი ტკბილ-მწარე ცხოვრება, განაცრისფერებული ახალგაზრდული ოცნებები.

80-იან წლებში საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომის ფარნაოზ კავთუაშვილის მძღოლი იყო – საოცარი წლები იყოო, იხსენებს ახლა, – რაღაცნაირად ტკბილი და თბილი ურთიერთობა იყო ადამიანებს შორის. მეურნეობის დირექტორიდან – გუგული ერბოწონაშვილიდან დაწყებული, ყველა ხელმძღვანელი პირი პატივისცემით ეპყრობოდა თითოეულ მუშას, ინტერესდებოდა მათი ცხოვრებით, გაჭირვებულს ეხმარებოდნენ, შრომის მოწინავეს უფასებდნენ გარჯას-ო.

თბილი, ღიმილიანი სახით იხსენებს მაშინდელ წლებს საგარეჯოელი ნუკრი მელაშვილი და ხმის ტემბრიც უტკბება რაღაცნაირი დოზით.

– სასადილოშიც ვმუშაობდი და კარგად დავხელოვნდი კულინარიაში, შემოსავალიც კარგი იყო, მაგრამ... აირია ყველაფერი და გაჭირდა ცხოვრებაც... ყველანაირად ვცდილობდი ოჯახისათვის არაფერი მომეკლო, თუმცა პირველ ოჯახს დავცილდი. ჩემს ქალ-ვაჟს ახლა ოჯახები აქვთ.

ახალი ოჯახი ამ საუკუნის დასაწყისიდან შევქმენი. მეორედ შექმნილ ოჯახში ორი ვაჟი მყავს: გოგა – მეთორმეტეკლასელი და სოსო – მეათეკლასელი. ჩემი მეუღლე ეკა დარისპანაშვილი – საგარეჯოს მე-6 საბავშვო ბაღის მენეჯერია, ვშრომობთ ერთად, კოლექტიურად.

– ნუკრი, როგორ ფიქრობ, ქართველ კაცს შეუძლია ოჯახი არჩინოს, ფუფუნებაში ვერა, მაგრამ ყოველდრიური მოთხოვნა რაც არის, კვების პროდუქტებით უზრუნველყოს, ხელი შეუწყოს შვილების ნორმალურ განათლებას, მათთვის საჭირო პირობების შექმნას?

– ქართველი კაცი ბუნებით ზარმაცია, მაგრამ გონიერიაო, ნათქვამია. რატომ არ შეიძლება, რომ ოჯახს ყველანაირი პირობა შეუქმნას? მით უმეტეს, როცა სოფელში ცხოვრობ, როცა გაქვს მიწის ნაკვეთი, როცა გაქვს ორი ხელი და ორი ფეხი, როცა ვაზს იცნობ, როგორც მარჩენალს, გადამრჩენელს. 1000 ძირი ვაზი გვაქვს, ყოველწლიურად 4-5 ტონა ყურძენს ვიღებთ. ნაწილს ღვინის ქარხნებს ვაბარებთ, ნაწილს ვყიდით ხელზე, ნაწილს კი ღვინო-არყად ვიყენებთ. თანაც ერთი ძროხა გვყავს, იქნებ არც დაიჯეროთ, ორ თვეში 1000 ლარის ყველი ჩავაბარე მაღაზიებს, ახლაც ორ თვეში ისევ მაღაზიებს ჩავაბარებ, სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი ოჯახში მოსახმარებლად შევინახავთ. რძის პროდუქტები გვაქვს. ვენახში ვაზთან ერთად ბოსტნეულსაც ვუვლით. ჩვენ ბოსტნეულს არ ვყიდულობთ, გაზაფხულამდე ჩვენი გვაქვს ყველაფერი. ვზრდით ღორს ზამთრისთვის და იმასაც ხედავთ, დილის 9 საათიდან თბილისში მივდივარ – ტაქსით ვემსახურები იქაურებს. საღამოს 5-6 საათზე ვამთავრებ ჩემს „სამუშაო საათებს“ და სახლში ვბრუნდები – ვენახში ერთად მივდივართ ოთხივე, ძროხასაც მიხედვა უნდა, ზოგჯერ „ვმორიგეობთ“. შაბათ-კვირასაც სახლში ვტრიალებ, ბიჭები უკვე იმ ასაკისები არიან, ერთად შრომა-გარჯასთან ერთად ურთიერთობებიც აუცილებელია. მეამაყება, რომ ორივე კარგად სწავლობს, შრომის ფასი იციან. იმასაც ვფიქრობ, როგორ ზრუნავს ჩემი ცოლ-შვილი ჩემზე, იციან, მთელი დღის განმავლობაში „ათასი ჯურის“ ადამიანებს ვხვდები, ზოგი „კაპრიზნია“, ზოგი ისეთი უცნაური, ვერაფერს გაუგებ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ქართველობა, თავაზიანობა, ადამიანური ურთიერთობები არ დავიწყებიათ, მაგრამ მძღოლები კი საოცრებები გვყავს საქართველოში – ყოველი მეორე ქალია, რაღაცნაირად ჯიბრიანები. ზოგმა მოძრაობის წესები არც იცის, მაგრამ ყველანაირად ცდილობს „გაძრომა-გამოძრომას“. ზოგჯერ ისე მოგიშლიან ნერვებს, შეიძლება მთელი დღე გაგყვეს მისი თავხედობა...

ძნელია დღეს ცხოვრება, მაგრამ უნდა გავუძლოთ, უნდა შევძლოთ სიძნელეებს გავუმკლავდეთ, გამოვნახოთ გზა, რომ გავისარჯოთ, მიწასაც ვუპატრონოთ, ვაზი არ გადავაჯიშოთ, ოჯახის მარჩენალი ძროხის სიკეთეც არ დაგვავიწყდეს, შვილებს შრომა შევაყვაროთ და მეუღლესთან ერთად ოჯახის მძიმე, მაგრამ სასიამოვნო უღელი უღალატოდ გავწიოთ...

სპორტი

დავით ხუციშვილმა მსოფლიო ქვიშის ჭიდაობაშიც მოიგო

ამასწინათ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ქვიშის ჭიდაობის მსოფლიო პირველობის ფინალში საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ნაკრებმა 3 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლითა და 90 ქულით გუნდური პირველობა არავის დაუთმო.

ამ ტურნირში საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ნაკრების დირსებას იცავდა ჩვენი საგარეჯოელი ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, დიდებში ევროპისა და მსოფლიო პრიზიორი **დავით ხუციშვილი**. გარეჯელი ფალავანი პირველობაზე 80 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას და ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბერძენი კოულოუჩიდისი, სერბი ნიკოლიჩი და სლოვენიელი ტრაბულიანი, რითაც დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი ჭიდაობის ამ სახეობაში.

დავით ხუციშვილს ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ოქროს მედლით დაგვბრუნებოდეს ქვიშის ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან, რომელშიც იგი უახლოეს მომავალში მიიღებს მონაწილეობას.

გივი დაგახიშვილი

ჩვენ გვწერენ

უმრავლოს საქართველოს საამაყო შვილები

საგარეჯოელ სახელოვან კორიფეებს – პოეტ-აკადემიკოს გოგლა ლეონიძეს, პროფესორ მეან-გინეკოლოგს ალექსი უსტიაშვილს, პოეტებს: მიხეილ ქვლივიძეს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, მწერალ სიმონ მთვარაძეს, ევროპასა და საერთოდ სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ჩვენს სახელოვან ექიმებსა და სხვა პროფესიის ადამიანებს, ჩვენს სახელოვან ბეჭდაუდებელ მოჭიდავეებს: მიხა ქურხულს, ნიკა ბუზარიაშვილს (დოლქეშაანთ ნიკა), არსენ მეკოკიშვილს, ლევან თედიაშვილს, გივი ონაშვილს, სპარტაკ ქარსაულიძეს, გურამ გოგოლაურს, თამაზ გეგეშიძეს, ანზორ კიკნაძეს, მამუკა კურდღელაშვილს, ძმებს მურთაზ და თენგიზ ელერდაშვილებს, გუგული ერბოწონაშვილს, ცუგო გვარიძიშვილს, იოსებ და როინ ქაიხოსროშვილებს, ვაჟა ქაიხოსროშვილს, ოთარ ოტიაშვილს, დავით ხუციშვილს, ავთო მეურმიშვილს, ბიჭიკო მარიდაშვილს, ილია ქვლივიძეს, ვალოდა მათიაშვილს, ტარიელ როსტომაშვილს, ბიძინა და თამაზ კევლიშვილებს, თენგიზ ასლამაზიშვილს, მიშა არჩუაძეს, რობერტ ნინოშვილს, გიორგი მეკოკიშვილს (ბუმბერაზი კაცის არსენ მეკოკიშვილის შვილს), ნიკო ესაიაშვილს, ვახტანგ ლაფაჩიშვილს, პაატა ბუზარიაშვილს, გია მარხვაშვილს, გურამ თედიაშვილს, გიგა ჭიკაძეს (შავი ქამრის მფლობელს – ბრძოლა წესების გარეშე), დევი რევაზიშვილს და მის ქალიშვილს – თინანო რევაზიშვილს, რომელიც 16 წლამდელ ასაკის გოგონათა შორის გახდა ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონობის მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, რაც მართლაც შექების დირსია. კიდევ სხვა ახალგაზრდა მოჭიდავეებს, რომელთა ჩამოთვლას გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არა მარტო საგარეჯოს, არამედ სრულიად საქართველოს საამაყოა პირველი ქართველი მფრინავი ქალი ეკატერინე ქვლივიძე, რომელიც დიდხანს იყო თვითმფრინავ ტუ-154-ის კაპიტანი, მან სამხედრო ავიაციაში იმსახურა 11 წელი. ამჟამად არის საქართველოს ავიაციის ინსტიტუტის პრორექტორი და თან თელავის აეროპორტ „მიმინოს“ დირექტორი.

პატარა კურიოზები:

გაზეთის სამი ფორმატიც არ ეყოფა თითოეული მათგანის გზის და მიღებული შედეგების აღწერას, რითაც მთელ მსოფლიოს გააცნეს პატარა, მაგრამ სულიერად დიდი ჩვენი ქვეყანა – საქართველო. მათზე შევწყვეტ საუბარს. წერილის ბოლოს მოგახსენებთ ზოგიერთ მათგანზე კურიოზებს და მათ იუმორისტულ გამონათქვამებს.

შაშო ვერელი – 1920-იან წლებში იყო განთქმული მოჭიდავე, ქ. თბილისის ჩემპიონი. ჭიდაობა იმართებოდა თბილისის ცირკში. მაშინ იყვნენ განთქმული მოჭიდავეები: კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა და სხვები.

მიხა ქურხული ეუბნება შაშო ვერელს – „ყველა წააქციე, ჩემპიონი გახდი ერთი საგარეჯოელი ქალამნებიანი გლეხი უნდა ჩამოგიყვანო, იმასაც ადვილად წააქცევო“ ჩაიყვანა ბუზარიაშვილი (დოლოქეშაანთ) ნიკა

. ასპარეზობა გაიმართა ცირკში. პირველივე წუთზე ნიკამ საშო კისრული ფანდით დაამარცხა. ძლივს ასწია წელი შაშომ და მიხა ქურხულს შეუკურთხა „შენი დედა... ეს არის ქალამნებიანი გლეხიო“?!

– არსენ მეკოკიშვილი – „ჩამომართვი, შვილო ხელი, ამ ხელს ბევრი მეფის ხელი სჭერია.

როდესაც ჰელსინკში ძია არსენამ (ასე ვეძახდით საგარეჯოელები) წააქცია ჩრდილოეთის გიგანტი ბერტილ ანტონსონი, რომელიც მისი გადმოცემით ძალიან სიმპათიური მამაკაცი ყოფილა, ქალებს დაუწყვიათ ტირილი. ამის შემხედვარე არსენაც ატირებულა.

ჟურნალისტი ეკითხება **ლევან თედიაშვილს** – მსოფლიოში ბეჭდაუდებელი ფალავანი თუ არსებობსო. როგორ არა, ეგეთი მამაჩემი ქიტესა არისო.

– როგორ, მამათქვენიც ჭიდაობდაო? არა, მამაჩემს მის დღეში არ უჭიდავია და ბეჭებს როგორ დადებდაო, მხოლოდ დედაჩემს უგებდაო“.

ტარიელ როსტომაშვილი –

1970-იან წლებში, როდესაც გახდა ჩემპიონი მოსკოვში, მე მაშინ ის გავიცანი „დემოდედოვოს „აეროპორტში – ყველა მგზავრი ჩაჯდა თვითმფრინავში,– ტარიელი არ ამოვიდა, დაბლიდან რაღაც უთხრა მფრინავებს და გაიქცა აეროპორტში – თვითმფრინავი კი ელოდებოდა მას. დააგვიანა 45 წუთი. ამოვიდა თუ არა, გამოვფრინდით. ჩემი მამიდაშვილის ქორწილიდან უამრავი სანოვაგე გამოგვატანეს, მაგრამ თვითმფრინავში ალკოჰოლური სასმელის ატანა არ შეიძლებოდა, მის გარეშე კი რა ეშხი ექნებოდა ქორწილის სუფრის გაგრძელებას. თურმე ტარიელმა მფრინავები გააფრთხილა – უჩემოდ არ წახვიდეთო, აეროპორტის სასადილოდან ბოთლებით არაყი მალულად ამოიტანა. გავაგრძელეთ გარეჯელებმა ქეიფი, თვითმფრინავის მგზავრებიან-მფრინავებიანად (ტარიელმა ისინიც დაპატიჟა) და სულ მრავალჟამიერით ჩამოვფრინდით თბილისში.

ბიჭიკო მარიდაშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთი მეგრელი დოცენტი გადამტერებული იყო მასზე და არ უწერდა ნიშანს. მეოთხედ რომ გავიდა, გამომცდელმა გვარი ჰკითხა ბიჭიკოს, მან კი მეგრულად მოქცეული გვარი უთხრა – მარიდიაო და ... მიიღო დადებითი შეფასება.

სოსო ლასურაშვილი

ქ. საგარეჯო

სამოყვარულო ფეხბურთი

მეორე წრის დასაწყისისათვის – ლიდერის პოზიციაზე

დასრულდა საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგის კახეთის რეგიონული ტურნირის პირველი წრე, რასაც ამ ასპარეზობის მეორე წრის გათამაშებები ჩაენაცვლა. ტურნირში მონაწილე „სამი ფარის კომპანიის“ გუნდის ფეხბურთელებს წრის ბოლო, დამამთავრებელი მატჩის ჩატარება ლაგოდეხში, ადგილობრივ „იმედთან“ მოუწიათ, სადაც 0:1 დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, გუნდი კვლავ ლიდერის პოზიციაზე დარჩა.

მეორე წრის პირველი მატჩის ჩატარება გარეჯელ მოყვარულებს საკუთარ მოედანზე ველისციხელ ფეხბურთელებთან მოუწიათ, რომლებიც მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხეს. ამ შედეგით ისინი ამ წრეშიც რჩებიან გათამაშების ლიდერად და ქულა დიდი სხვაობით უსწრებენ მომდევნო ადგილზე მყოფ გუნდებს. კერძოდ, ისინი ექვსი ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ ლაგოდეხის „იმედს“, ხოლო მესამე ადგილის მქონე თელავის „გავაზს“ – 8 ქულით. როგორც „სამი ფარის კომპანიის“ ხელმძღვანელობასთან საუბარში გაირკვა „სამი ფარის კომპანიის“ გუნდს, უშუალო კონკურენტებთან თამაში საკუთარ მოედანზე აქვს, გარდა თელავის „გავაზისა“, რომელიც ამ ტურნირის ერთერთ ანგარიშგასაწევ გუნდს წარმოადგენს. სულ „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელებს მეორე წრეში კიდევ 8 მატჩის გამართვა მოუწევთ და იმედია, არც შემდგომში დათმობონ პოზიციას.

„მოყვარულთა თასი-2019“-ის რეგიონული ეტაპის გათამაშებების მიმოხილვას, ვრცელი წერილი დაუთმო გაზეთმა „აჭარა სპორტმა“, რომელშიც კახეთის რეგიონული ლიგისა და „სამი ფარის კომპანიის“ გუნდის შესახებ ვკითხულობთ: „კახეთის ლიგა, რომელიც წლების განმავლობაში სტაბილურობას ინარჩუნებს, ამ სეზონში საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობს. მთავარი ნიშა ამ ლიგის ის გახლავთ, რომ ნებისმიერი გუნდი ანგარიშგასაწევია და წინასწარ დაგეგმილი ქულები არ არსებობს. ამ დროისათვის ლიგას „სამი ფარის კომპანია“ ლიდერობს, რომელიც საშინაო არენაზე განსაკუთრებით, ძალიან სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. ოთარ დევდარიანის მიერ გაწვრთნილი გუნდი ბურთის ფლობაზე აკეთებს აქცენტს და დამსახურებულადაც ლიდერობს ტურნირის ცხრილს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ლიგები მთელი საქართველოს მასშტაბით სტაბილურად და გამართულად მიმდინარეობს“...

„მოყვარულთა თასი-2019“-ის გამარჯვებული გუნდი 2020 წელს მონაწილეობას მიიღებს უეფას რეგიონთა თასზე, ევროპის სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატზე.

გივი დაგახიშვილი

დიდი ოგება _ დიდი სამომავლო გეგმები

***ასეთი** დიდი, თანაც „მშრალი“ ანგარიშით ფეხბურთის მატჩის დასრულება, იშვიათად ხდება და ალბათ ერთადერთი რეკორდული შედეგიც იქნება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგის მეორე წრის წლევანდელ საფეხბურთო სეზონში. 5 სექტემბერს საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე თბილისის „ვარკეთილთან“ გამართულ მორიგ კალენდარულ მატჩში „გარეჯი-1960“-ის ხუთმა ფეხბურთელმა თითო, ერთმა კი ორი გოლი გაიტანა. 7:0 – ასეთი ანგარიშით დაამარცხეს გარეჯელმა ფეხბურთელებმა თბილისის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი. ბურთები მეტოქეთა კარში გაიტანეს გუჯარაიძემ, ჯოხაძემ, ნიჟარაძემ, მუმლაძემ, კუჭუაშვილმა და გოგილაშვილმა (2).*

მატჩის დასრულების შემდეგ ამ მატჩისა და გუნდის სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ „გარეჯი-1960“-ის ერთ-ერთ მწვრთნელს **დავით მაისურაძეს:**

– „გარეჯი-1960“-ის ყველა გულშემატკივარი გაახარა იმ შედეგმა, რასაც თქვენ „ვარკეთილთან“ ამ მატჩში მიაღწიეთ. ეს მეტოქის სისუსტის, თუ გარეჯელი ფეხბურთელების კარგი მომზადებით აიხსნება?

– „ვარკეთილი“ IV ლიგის გათამაშების საკმაოდ ანგარიშგასაწევი გუნდია. II წრის შედეგებით იგი სატურნირო ცხრილის შუაგულში – VI ადგილზეა. ეს იმის გამო, რომ ფინანსური პრობლემების გამო ქულები ჩამოაკლეს, თორემ თამამად შეუძლია პირველ სამეულში ადგილის დასაკავებლად იბრძოლოს. ამ გამარჯვების თავი და თავი „საიდუმლო“ იმაშია, რომ ჩვენი ფეხბურთელები თანდათან შევიდნენ ფორმაში და შეუძლიათ კარგი ფეხბურთის თამაში. სადღეისოდ გუნდში 25 ფეხბურთელია, რომელთა შორის დიდი კონკურენციაა და ყველა ცდილობს მინდორზე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენოს.

– „გარეჯი-1960“-ში ორი საგარეჯოელი ფეხბურთელი ნიკა კუჭუაშვილი და გიორგი ნიჟარაძე თამაშობენ, რომელთაც ამ მატჩში თითო გოლი გაიტანეს. რას გვეტყოდით მათი თამაშის შესახებ?

– ორივე ჩვენი ფეხბურთელი კარგად თამაშობს, რასაც უბრალო მაყურებელიც კარგად შეამჩნევდა და დაგვეთანხმება ამაში.

– როდის მთავრდება IV ლიგის მეორე წრის გათამაშება და რა შედეგებით ამთავრებთ მას?

– მეოთხე ლიგის მეორე წრის გათამაშებას „გარეჯი 1960“ 11 სექტემბერს ხონში გასვლითი თამაშით ამთავრებს. რაც შეეხება ქულათა ბალანსს, ჩვენ ერთი ქულით ვასწრებთ მეორე ადგილზე მყოფ თბილისის „სიტის“, მესამეზე მყოფ „სპაერს“ კი 5 ქულით.

– როდის დაიწყება III წრის გათამაშება და როგორია მასში თქვენი კალენდარული გეგმა?

– IV ლიგის მესამე წრის გათამაშებას „გარეჯი-1960“ 18 სექტემბერს შეუერთდება. ამ დღეს გვაქვს გასვლითი მატჩი სენაკის გუნდთან. 25 სექტემბერს კი მონაწილეობას მივიღებთ თასის გათამაშების მეოთხედფინალში. 29 სექტემბერს კვლავ გასვლითი მატჩი გვაქვს ჩანიშნული სამეგრელოში ადგილობრივ „ჩხოროწყუსთან“. საერთოდ წილისყრით მესამე წრის მატჩების გამართვა დასავლეთ საქართველოს გუნდებთან (გასვლითი თამაშები) მოუწესრიგებელ სათამაშო მოედნებსა და იქაური გულშემატკივრების თავიანთი გუნდებისათვის აქტიური მხარდაჭერის პირობებში მოგვიწევს. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ამასწინათ სამეგრელოში გამართულ ერთ-ერთ მატჩში იქაურ გუნდს თითქმის 1000 ადამიანი გულშემატკივრობდა, ეს კი უბრალო რამე არ არის მინდორზე სათამაშოდ გასული ფეხბურთელისათვის.

– რაკი გულშემატკივარზე მიდგა საქმე, უნდა ითქვას, რომ საგარეჯოშიც თანდათანობით მატულობს თქვენი მხარდამჭერების რიცხვი.

– კი, ასეა. ამასწინათ თბილისში „სპაერთან“ გამართულ მატჩზე საგარეჯოდან ჩვენს მხარდასაჭერად 50 გულშემატკივარი ჩამოვიდა, რაც ერთგვარი სტიმულია ჩვენი ფეხბურთელებისათვის. ჩვენი გუნდიც ყველანაირად ცდილობს რომ მათ არ გავუმტყუნოთ მოლოდინები და სანახაობრივად კარგ თამაშთან ერთად, კარგი შედეგებითაც გავახაროთ ისინი.

ესაუბრა გივი დაგახიშვილი

ახალი ინფრასტრუქტურით

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბოლო ორი წლის განმავლობაში იმდენი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა, რომელსაც სამი ათეული წელია ამაოდ ელოდნენ აღსაზრდელებიც და მათი აღმზრდელებიც – მოწესრიგდა სველი წერტილები, კეთილმოეწყო სამზარეულოები, გასახდელები, სათამაშო, სამეცადინო და საძინებელი ოთახები, სპორტული დარბაზები.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია აიპ *„საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი ქ-ნი* ელზა ბილაშვილი.

– ქ-ნო ელზა, გაერთიანების თითოეულ თანამშრომელს, აღსაზრდელს, აღმზრდელს, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. საინტერესოა, რამდენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მოემსახურება ამ ახალი სასწავლო წლიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის აღსაზრდელებს?

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი იწყება 27 სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებაში და ორ ალტერნატიულ ჯგუფში – ლამბალოს თემში (გარდა ალტერნატიული ჯგუფებისა, ამ ზონაში აზრბაიჯანელ ბავშვებს ემსახურება სოფელ დუზაგრამის საბავშვო ბაღი).

– რამდენი აღსაზრდელი ეყოლება ჩვენს დაწესებულებებს და ვინ მოემსახურება მათ აღზრდასა და სწავლას?

– 16 სექტემბერს საბავშვო ბაღის კარს შეაღებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 1400 ბავშვი, აქედან 70 ბავშვი იქნება ალტერნატიულ ჯგუფში. ჩვენს აღსაზრდელებს მოემსახურება: 28 მენეჯერი, 65 აღმზრდელი, 64 აღმზრდელის თანაშემწე, 11 ლოგოპედი, 13 ფსიქოლოგი, 5 მეთოდისტი, 28 მედდა, 34 დამლაგებელი, 30 მზარეული, 5 მზარეულის თანაშემწე, 20 მუსიკის მასწავლებელი, 30 დარაჯი და 10 ცეცხლფარეში.

– რა სიახლეებია გათვალისწინებული წელს თქვენს სისტემაში?

– სახელმწიფოს მიერ გამოიცა დადგენილება ავტორიზაციის წესის შესახებ, რომელიც ძალაში შედის 2020 წლიდან. უკვე დადგენილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“, რომელიც მოიცავს სამი სახის სტანდარტს:

ა) ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს;

ბ) სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს;

გ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს.

საბავშვო ბაღებს მივაწოდეთ „აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული სტანდარტები“, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს აღმზრდელების გადამზადება აღმზრდელ-პედაგოგებად.

საჭიროა ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ მხრივ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურად არის ჩართული პროცესებში.

– სამომავლოდ თუ არის გათვალისწინებული რომელიმე ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

– ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა კაკაბეთის №2 და საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. მერიას მზადა აქვს 2 პროექტი 2020 წლისთვის რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით. სრული რეაბილიტაცია უტარდება პატარძეულის №2 და უჯარმის საბავშვო ბაღებს.

საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს რემონტი – მუშაობას მოგვიანებით შეუდგნენ. კოჭბანის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულების შენობა დასრულებულია, სჭირდება ინვენტარით აღჭურვა. მუნიციპალიტეტს სურვილი აქვს 16 სექტემბრამდე აღნიშნული ბაღიც მოწესრიგდეს და გაიხსნას.

– წარმატებებს გისურვებთ გაერთიანების თითოეულ თანამშრომელს. ყველა სირთულე, ყველა პრობლემა კეთილად ისეთი ენთუზიაზმითა და შემართებით დაგეძლიოთ, როგორც ამას წლების მანძილზე აკეთებდით და ყოველთვის პირნათელი გამოდიოდით მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის, დაფრთიანების საქმეში.

– მადლობა.

საჩუქარი კოჭბანელ პატარებს

ახალ სასწავლო წელს კოჭბანის თემის სოფლების პატარა აღსაზრდელები ახალმოსახლეობას ახალი საბავშვო ბაღის შენობაში იზეიმებენ. რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტია ელოდნენ.

შენობას ინდმეწარმე „დავით კავთუაშვილის“ მშენებლებმა ჩაუყარეს საფუძველი და ბაღის ბინადრებს შენობისა და ეზოს ჭიშკრის გასაღებებს ისინი გადასცემენ. მთელი შემართებით და მონდომებით შრომობდნენ კოჭბანელი მშენებლები: ზაზა ჩორხაული, ვალერიან ბერიძიშვილი, , როსტომ სიმონიშვილი, ლაშა მისრიაშვილი, რომელთა ნახელავს თითქმის ყოველდღე „ზედამხედველობდნენ“ საბავშვო ბაღის მომავალი აღსაზრდელები: აფციაურები და გიგაურები...

შენობა საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით აშენდა. პროექტისთვის მთლიანად 206 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, საიდანაც 183 ათასი ლარი საქართველოს რეგიონული ფონდის მიერ იყო გამოყოფილი, ხოლო 16000 ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

შენობაში 197მ2 ფართობი სააღმზრდელო ჯგუფისთვის არის გამოყოფილი.

გამოხმაურება წიგნზე

ახლახანს გამოვიდა მევენახისა და გამომგონებლის, საზოგადო მოღვაწისა და პოეტის თამაზ ქვლივიძის მორიგი წიგნი – „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. რომელიც ძნელია აუღელვებლად წაიკითხოთ. ავტორმა დიდი შრომა გასწია და თავისი პოეტური ნიჭი და მამულიშვილობა შესანიშნავად წარმოადგინა ქართველი საამაყო შვილის რუსთაველის საუბილეოდ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული ოფიციალური წრეების მიერ უყურადღებოდ დარჩა მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნისა და პოეტის იუბილე. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბ-ნი ქვლივიძის პოეტური ნაშრომი და მამულიშვილობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ როგორც ყოველთვის თ. ქვლივიძის ნაშრომი შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

ვახტანგ მჭედლიშვილი,
თსუ-ს პროფესორი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე